# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

29 აგვისტო
ხუთშაბათი
2024 წელი
№35 (9349)
ფასი 40 თეთრი


## ღვთისმშობელის ამაღლება



28 აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში სადღესასწაულო წირვა შესრულდება.

ქრისტიანულ სამყაროში, ყოვლადწმიდა სამების შემდეგ, ღვთისმშობელი მარიამი იდიდება. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი - ღვთისმშობლის შობა, მიძინება და ყოვლადწმიდა მარიამის ტაძრად მიყვანება უშუალოდ ღვთისმშობელს უკავშირდება.

მარიამობის დღესასწაულს წინ მარიამობის ორკვირიანი მარხვა უძლოდა, რომელიც 14 აგვისტოს დაიწყო. ეკლესიის ისტორიაში ამ მარხვის დაწყების ზუსტი თარიღი უცნობია. ასევე, არ არის ცნობილი, როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული.

საეკლესიო სწავლებით, ღვთისმშობელს მისი მიძინების დღე უფალმა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ახარა, რომელიც მას, ზეთისხილის მთაზე, ლოცვისას გამოეცხადა. მთავარანგელოზმა ღვთისმშობელს ამცნო, რომ სამი დღის შემდეგ მიიძინებდა. ამის დასამოწმებლად კი სამოთხეში დარგული ზეთისხილის ხის ტოტი გადასცა, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა. იგი მის საფლავთან უნდა მიეტანათ.

ღვთისმშობლის სურვილისამებრ, უფალმა საქადაგებლად წასული წმინდა მოციქულები მიძინების დღეს ღვთისმშობელთან გამოსამშვიდობებლად შეკრიბა.

უფალმა, ასევე, ისმინა ღვთისმშობლის თხოვნა, რომ არ ეხილა ჯოჯოხეთის საშინელებები და ღვთისმშობლის სული ცათა საუსუფეველში თავად უფლის ხელით ავიდა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მოციქულებმა გეთსიმანიის ქვაბულში დაკრძალეს. ამ პროცესს თომა მოციქული არ ესწრებოდა. მესამე დღეს მოციქულებმა მისთვის ქვაბულის ლოდი გადააგორეს და აღმოაჩინეს, რომ ღვთისმშობელი უფალმა მკვდრეთით აღადგინა და ხორციელად ზეცაში აღამაღლა. ამიტომ ეკლესია ღვთისმშობლის აღსასრულს მიძინებას უწოდებს.

## აქტუალური ინტერვიუ

## არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით



26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართება. ამომრჩევლები ოთხი წლის ვადით საქართველოს პარლამენტის 150 დეპუტატს პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევენ. საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტს მაინც მიიღებენ.

2024 წელს პირველად საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა თითქმის 90 პროცენტი კენჭისყრაში მონაწილეობას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღებს, ხოლო დარჩენილი 10 პროცენტი კვლავ ტრადიციული მეთოდით მისცემს ხმას. არჩევნებზე გამოყენებულ იქნება რამდენიმე სახის ელექტრონული ტექნოლოგია, რაც საქართველოსათვის სიახლე იქნება. დაწვრილებით აღნიშნული საკითხების ირგვლივ ინტერვიუ ვთხოვეთ ბორჯომის №36 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ **თამარ რაზმაძეს**:

**2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოს მოსახლეობა სრულიად ახალი საარჩევნო სისტემით შეძლებს, რაც ახალი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს. დეტალურად რომ მოგვიყვეთ, როგორი სახის ტექნოლოგიები იქნება გამოყენებული?**

- 2024 წლის არჩევნებზე პირველად საქართველოში გამოყენებული იქნება სამი სახის ელექტრონული ტექნოლოგიები:

**ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატი** - რომელმაც ჩაანაცვლა ამომრჩეველთა ერთიანი სია, ითვალისწინებს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩევლის მონაცემების ძებნას, იდენტიფიცირებას და რეგისტრაციას, (აპარატებში ჩატვირთულია შესაბამისი უბნის ამომრჩეველთა სიები);

**ხმის მთვლელი ელექტრონული აპარატი** - ხმის მიცემის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს ამომრჩევლის მიერ შევსებული საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებას, (აპარატები დამონტაჟებულია ძირითად საარჩევნო ყუთებზე);

(გაგრძელება მეორე გვრდზე)

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



23 აგვისტოს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს გეგმიური სხდომა გაიმართა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი** უძღვებოდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები დაამტკიცეს.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №41 დადგენილებაში;

დაამტკიცეს იმ შენობა-ნაგებობებისა და ადგილების ჩამონათვალი, რომლებზედაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა, აგრეთვე დასაშვებია სააგიტაციო მასალის განთავსება და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრების, აგიტაციის და შეკრებების მოწყობა;

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების წესი;

დეპუტატებმა მოისმინეს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2023-2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და მოისმინეს ა(ა)იპ „ბორჯომის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორის ვაჟა გელაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## რეაბილიტაცია დასრულდა



ბორჯომში, ერეკლეს ქუჩაზე №3-ში, საყრდენი კედლის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტის თანახმად, არსებული გზის დამცავი კედლის დემონტაჟი განხორციელდა და ახალი 34 მეტრიანი რკინა-ბეტონის კედელი მოეწყო. ასევე, მოეწყო „პლატოზე” ასასვლელი კიბეები და ბილიკი.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა.

## ლიკანში ახალი სკვერი მოეწყო



ლიკანში, მესხეთის ქუჩის №39-ში, ახალი სკვერი მოეწყო.

ახალი რეკრეაციული სივრცე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა.

პროექტის თანახმად, მოეწყო მოსასვენებელი სივრცეები, ფანჩატური, წყლის ბიუვეტი. დამონტაჟდა საბაღე სკამები, ნაგვის ურნები, გარე განათების ლამპიონები. ასევე, მოეწყო წყლისა და კანალიზაციის ქსელი. ტერიტორიაზე დაირგო ხე-მცენარეები.

მერის, ოთარ არბოლიშვილის თქმით, ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რეკრეაციული სივრცეების მოწყობაა.

- ბორჯომი ტურისტული ქალაქია, შესაბამისად ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, ახალი რეკრეაციული სივრცეების მოწყობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. ადგილობრივებისთვის და ტურისტებისთვის გასართობი ზონების მოწყობა მომავალშიც გაგრძელდება, - განაცხადა ბორჯომის მერმა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

## შეხვედრა ნაღვერის კულტურის სახლის თანამშრომლებთან







**კულტურისა და ხელოვნების** ცენტრის დირექტორი **გაიოზ ღვალიშვილი** ნაღვერის კულტურის სახლის ხელმძღვანელს **დალი ქასაშვილს** და მის თანამშრომლებს შეხვდა.

შეხვედრაზე განიხილეს ზაფხულში ჩატარებული ღონისძიებები, შედეგები, ახალი და სამომავლო გეგმები. ასევე ისაუბრეს პრობლემების აღმოფხვრაზე.

დაიგეგმა კიდევ ერთი შეხვედრა უახლოეს მომავალში, რა დროსაც ჩამოყალიბდება და დეტალურად განიხილება ახალი სასწავლო წლის პროცესი, რომელიც უმნიშვნელოვანესია თვოთმოქმედი წრეებისთვის.

**ნაღვერის კულტურის სახლის დირექცია სამომავლოდ ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება.**

## საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადება



გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მომავალი დღეების განმავლობაში როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მოსალოდნელია ტემპერატურის მატება. რის გამოც, იზრდება ტყისა და მინდვრის ხანძრების გაჩენის რისკი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, არ დაანთოთ ცეცხლი სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე, ტყის ან ველის სიახლოვეს და არ დატოვოთ ცეცხლის კერები უყურადღებოდ.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თვითაალება შეუძლიათ, შესაბამისად ნუ დაანაგვიანებთ გარემოს.

დაკვამლიანების ან ცეცხლის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დარეკეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ “112”-ში.

# არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით

(გაგრძელება)

- **პლანშეტური კომპიუტერი** - კენჭისყრის წინასწარი შედეგების გადაცემის პროცესი, რომელიც ითვალისწინებს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ამ ინფორმაციის ზემდგომი საარჩევნო კომისიისთვის მიწოდებას.

მსგავსი ელექტრონული აპარატებით არჩევნები არაერთ ქვეყანაში ტარდება, მათ შორის, სომხეთში, ალბანეთში, ბულგარეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინდოეთში, სამხრეთ კორეაში, ბრაზილიაში, ფილიპინებში.

**რაც შეეხება №36 ბორჯომის საოლქო საარჩევნო კომისიას, როგორ მიმდინარეობს მუშაობა არჩევნებისთვის?**

- მნიშვნელოვანი საარჩევნო წელიწადია, და იმისთვის, რომ საზოგადოებას დავანახოთ რა კეთდება არჩევნების უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის პირველ რიგში უნდა გითხრათ რის მიხედვით ვმოქმედებთ: ეს არის ძალიან ძირეული დოკუმენტი საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, - 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დეტალურად ასახავს თუ რის მიხედვით ვმოქმედებთ განსაზღვრულია სტრატეგიული პრიორიტეტები:

**1. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება;**
**2. ინსტიტუციური გაძლიერება;**
**3. ტექნოლოგიური განვითარება.**

და ამ სამი პრიორიტეტის გათვალისწინებით ჩვენი საქმიანობის რამდენიმე მიმართულებაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც ვფიქრობ საზოგადოებისთვის ძალიან საინტერესო იქნება.

წელიწადზე მეტია საარჩევნო ადმინისტრაცია მასობრივ საინფორმაციო კამპანიას ახორციელებს. მივდივართ ყველგან: იმისათვის, რომ ამომრჩეველი სრულად იყოს ინფორმირებული, თუ როგორ ჩატარდება არჩევნები 2024-ში და იცოდნენ თუ რატომ არის მათი აქტიურობა მნიშვნელოვანი.

- რაც შეეხება ბორჯომს, სულ ბორჯომის მასშტაბით გავმართეთ 53 შეხვედრა როგორც საჯარო დაწესებულებებში ასევე კერძო სექტორში, ინფორმირების კამპანია მიმდინარეობდა ორი თვის განმავლობაში ბორჯომის იუსტიციის სახლში, ასევე „ბორჯომ-ქალაქობა 2023"-ის დღესასწაულთან დაკავშირებით გამართული ღონისძიების მონაწილეები გაეცნენ: საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიებს, მის უპირატესობებს და მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სიახლეებს. ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა საშუალება პრაქტიკაში გამოეცადა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატები.

ბორჯომში ინფორმირებულია 3000-მდე მოქალაქე. ვესაუბრებით, რა უფლებები აქვთ მათ და რა სერვისებს თავაზობს ცესკო, იმისათვის, რომ მათ ყველანაირი შეფერხების გარეშე, მათი უფლებების გათვალისწინებით, სრულფასოვნად შეძლონ და გააკეთონ არჩევანი მიმდინარე წლის ოქტომბერში. აქტიურად ვაცნობთ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით საარჩევნო პროცედურებს.

მინდა ყურადღება გავამახვილო მეორე უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე - ინსტიტუციურ გაძლიერებაზე, რაც გულისხმობს ადმინისტრაციის მართვის ეფექტიანობის ზრდასა და ადამიანური რესურსების გაძლიერებას.

ამ მიმართულების ფარგლებში, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაზე მინდა გესაუბროთ. სამართლებრივი ვალდებულება გახდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის პოტენციური მსურველი - უნდა ფლობდეს საარჩევნო სერტიფიკატს. რეფორმის თანახმად სერტიფიკატის ფლობა სავალდებულოა საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და წევრების ასარჩევად (საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), აღნიშნული კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს საუბნო საარჩევნო კომისიების კიდევ უფრო კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას. სერთიფიცირების წარმატებით განხორციელების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ კომპლექსური სამუშაოები გაატარა, მათ შორის სხვადასხვა რეგიონში უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მათ შორის ბორჯომის საარჩევნო ოლქშიც, სერთიფიცირების ჩასატარებლად, სასურველ ლოკაციაზე გამოცდების ჩაბარების მიზნით. შემუშავებულია შესაბამისი ტესტები და ხელმისაწვდომია ონლაინ. ეს ყოველივე, პასუხობს გასულ წლებში საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას საუბნო კომისიების წევრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

სულ რამდენი საარჩევნო ოლქი უბანი იქნება?

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 73 ოლქში შექმნილია 3030 საარჩევნო უბანია.

რაც შეეხება ბორჯომის №36 ოლქს, შექმნილია 24 საარჩევნო უბანი, მათ შორის 16 საარჩევნო უბანში, არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით გაიმართება და 8 საარჩევნო უბანში კენჭისყრა ტრადიციული წესით ჩატარდება. (უბნები სადაც არჩევნები ტრადიციული წესით ჩატარდება: ტაძრისის, ბაკურიანის ორი საარჩევნო უბანი, ციხისჯვრის, ანდეზიტის მოლითის, ბალანთის და ტაბაწყურის საარჩევნო უბნები).

სულ რამდენი ამომრჩეველია შეყვანილი საარჩევნო სიაში ბორჯომის მუნიციპალიტეტში?

- ბორჯომის ამომრჩეველთა რაოდენობა 26684 ადამიანია.

**- ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ემიგრაციაშია წასული. წესით შეძლებენ ეს ადამიანები ხმის მიცემას?**

საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, ძველი, ტრადიციული წესით.

სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად:

საქართველოს მოქალაქე უნდა იმყოფებოდეს საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე ან უნდა იყოს რეგისტრირებული საზღვარგარეთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თუ საქართველოს მოქალაქე არ არის საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე და არ აქვს რეგისტრაცია საზღვარგარეთ, 2024 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით (არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-19 დღისა) მას შემდეგ რაც



შეიქმნება საარჩევნო უბანი, უნდა გაიაროს რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში, ან საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში. საარჩევნო უბანზე მისვლისას თან უნდა იქონიოთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

**საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გავლა არ იწვევს პირის საკონსულო აღრიცხვაზე დადგომას. საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და მისცეს ხმა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის ან საარჩევნო რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, კანონიერად (ლეგალურად) იმყოფება იგი საზღვარგარეთ თუ უკანონოდ (არალეგალურად).**

ამომრჩეველთა ინფორმირების ფართომასშტაბიანი კამპანიის ფარგლებში, ,,ელექტრონული არჩევნების საყოველთაო დემონსტრირება" 6 ივლისიდან დაიწყო და ყოველ შაბათ - კვირას მიმდინარეობდა. მონაწილეობის მსურველებს შესაძლებლობა ქონდათ, 2024 წლის 26 ივნისიდან ელექტრონულად დარეგისტრირებულიყვნენ, აერჩიათ სასურველი თარიღი და დრო. პროექტი მთელი ქვეყნის მასშტაბით 64 მუნიციპალიტეტში, თბილისსა და რეგიონებში მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში მდებარე წინასწარ განსაზღვრულ 89 ლოკაციაზე განხორციელდა. საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს მასშტაბით დარეგისტრირდა 65 321 ამომრჩეველი, იმიტირებულ კენჭისყრაში კი მონაწილეობა 43 864-მა ამომრჩეველმა მიიღო.

ბორჯომის ოლქში მონაწილეობა მიიღო სულ 800-მდე მოქალაქემ. პროექტის მიზანი საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება და ხმის მიცემის პროცედურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება იყო. ამომრჩევლები პირადად ეცნობოდნენ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობას. პროექტი როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს ითვალისწინებდა და პასუხობს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) რეკომენდაციას საარჩევნო ტექნოლოგიების ეროვნული მასშტაბით ტესტირების შესახებ.

**რამდენად გაამართლებს აღნიშნული საარჩევნო სისტემა? არსებობს თუ არა ალბათობა იმისა, რომ ხმის მიცემის ელექტრონული სისტემით ჩატარებულ არჩევნებზე გავრცელდეს სხვადასხვა სახის დეზინფორმაცია?**

რას გვაძლევს საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება; რა უპირატესობებს ანიჭებს მთელ საარჩევნო პროცესს, რას უმარტივებს ამომრჩეველს და როგორ ამარტივებს საარჩევნო მოხელეებისთვის მთლიან პროცესს:

გამარტივებული პროცედურები და შემცირებული რიგები. ვერიფიკაციის აპარატი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შეამციროს საარჩევნო უბნებზე რეგისტრირებული ამომრჩევლების ძიების დრო (ტრადიციული-ძველი მეთოდით რეგისტრატორი დაბეჭდილ სპეციალურ სიებში ე.წ. სახაზავით ახდენდა ამომრჩევლის ძიებას). ვერიფიკაციის აპარატმა ეს პროცესი ჩაანაცვლა და გაამარტივა. ამავდროულად ამომრჩეველს შეუძლია ნებისმიერ რეგისტრატორთან გაიაროს რეგისტრაცია. აღნიშნული ხელს უწყობს საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა რიგების შემცირებას.

**ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა.**

ვერიფიკაციის აპარატი ანაცვლებს იმ ძირითად საქმიანობას, რასაც რეგისტრატორები მექანიკურად ხელით ასრულებდნენ და ამდენად, უზრუნველყოფს ტექნიკური ხარვეზების პრევენციას.

**პროცესის სანდოობა.**

ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატის გამოყენება ამომრჩეველთა რეგისტრაციის/ვერიფიკაციის პროცესში გამორიცხავს განმეორებით ხმის მიცემის მცდელობას, ყველა ასეთ შემთხვევაზე აპარატი გამოსცემს სპეციფიკურ ხმას. ხმის დათვლის აპარატი გამორიცხავს საარჩევნო ყუთში ერთდროულად ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას.

შედეგების სიზუსტე და წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემცირებული დრო.

ხმის დათვლის აპარატი ასკანერებს და ზუსტად აღრიცხავს საარჩევნო ყუთში ამომრჩევლების მიერ მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას, მათ შორის, ბათილი და თითოეული სუბიექტისთვის მიცემული ხმების რაოდენობას. აპარატის მიერ დათვლილი კენჭისყრის წინასწარი შედეგები მყისიერად გადაეცემა ზემდგომ საარჩევნო კომისიას პლანშეტური კომპიუტერით. აპარატის მიერ დათვლილი შედეგები არ წარმოადგენს საბოლოო მონაცემს, საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულია საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენების ხელით გადათვლა, რის საფუძველზეც დგება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმი. პილოტური არჩევნების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ელექტრონული აპარატებით და ხელით დათვლის შედეგები 99.97%-ით ემთხვევა ერთმანეთს.

**საარჩევნო ელექტრონული აპარატების უსაფრთხო მუშაობა.**

ვერიფიკაციის და ხმის დათვლის აპარატები არ არიან დაკავშირებული ინტერნეტთან, კიბერ-ჩარევის საფრთხე არ არსებობს. დაცულობის მიზნით, საარჩევნო ელექტრონული აპარატები კენჭისყრის დღის სხვადასხვა ეტაპის დროს ითხოვს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური კოდის გამოყენებას, რომელიც კონფიდენციალურია და მასზე წვდომა მხოლოდ თავმჯდომარეს აქვს.

ელექტრონული არჩევნების შესახებ ბევრი არასწორი ინფორმაცია გავრცელდა წარსულში. მაგალითად ის, რომ ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტის გამოყენებით ან მოსაზრება, რომ ხმის მიცემას შეძლებენ მხოლოდ აიდი ბარათის მფლობელები. ამ ტიპის არასწორი ინფორმაციის გასანეიტრალებლად არაერთი, მასშტაბური საინფორმაციო აქტივობა გვქონდა და ასეც გავაგრძელებთ.

ასევე აქტიურად ვცდილობთ, რომ დეზინფორმაციას გავუმკლავდეთ, რაც ამ ძალიან აქტიურ პერიოდში, ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ დემოკრატიის და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტმა (International IDEA) 2016-2022 წლებში ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც დეზინფორმაციის შემთხვევები მსოფლიოს მასშტაბით არჩევნების წინააღმდეგ გამოვლინდა 53 ქვეყნის 92 პროცენტში. უმეტესობა მიზნად ისახავდა საარჩევნო ადმინისტრაციების იმიჯის შელახვას, ამიტომ ვართ ორიენტირებული იმაზე, რომ ვიყოთ როგორც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ისე საოლქო საარჩევნო კომისიები ინფორმაციის პირველწყარო და ამომრჩეველსაც სწორედ ამისკენ მოვუწოდებთ, რომ საეჭვო ინფორმაციებს არ ენდონ და ჩვენთან გადაამოწმონ მათთვის ნებისმიერი საინტერესო საკითხი.

ერთსაც ვიტყვი ამ მიმართულებით, ცესკოში აქტიურად მუშაობს საინფორმაციო - ანალიტიკური განყოფილება, რომელიც უწევს მედიას და გავრცელებულ ინფორმაციებს მონიტორინგს და რაიმე არასწორი ან ცრუ ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის გვაქვს შესაბამისი რეაგირება, იქნება ეს განცხადების სახით, თუ შეიძლება მივმართოთ ხოლმე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას - იყო რიგი შემთხვევები, როდესაც ქარტიამ გავრცელებულ დეზინფორმაციასთან მიმართებაში



მოახდინა შესაბამისი რეაგირება. ამიტომ ვიყენებთ ყველა ბერკეტს, იმისათვის, რომ მოქალაქეებს არჩევნებთან მიმართებაში ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია.

**არჩევნებამდე თუ იგეგმება კიდევ დამატებით მოსახლეობისათვის, ცესკოს მხრიდან ახალი სისტემის გაცნობა?**

- რა თქმა უნდა, ინფორმირების კამპანია კვლავ განხორციელდება და უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს უკვე საარჩევნო პერიოდში, რაზეც თქვენც როგორც მედიას წინასწარ მოგეწოდებათ ინფორმაცია, გარდა ამისა ინფორმაცია გამოქვეყნდება როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე https://cesko.ge/, ისე სოციალურ ქსელებში https://www.facebook.com/CentralElectionCommissionOfGeorgia, https://twitter.com/GiorgiK_CEC_GE, https://x.com/cecgovge, https://www.instagram.com/, ჩვენი, საარჩევნო ადმინისტრაციის მიზანია მივიდეთ ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება და ვისაუბროთ ამ სიახლეებზე ამომრჩევლებთან, რათა 2024 წლის 26 ოქტომბერს უფრო მეტად მომზადებული შეხვდეს ამომრჩეველი აღნიშნულ სიახლეებს და ცვლილებებს.

დასკვნის სახითაც, რომ შევაჯამოთ თუ რას ვისახავთ მთავარ მიზნად, როდესაც ვსაუბრობთ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ ამ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებზე, ასე დეტალურად გაწერილ სამოქმედო გეგმაზე, უმთავრესია პროფესიულ დონეზე ჩატარებული არჩევნები არამარტო ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ცოდნა, არამედ შევთავაზოთ, უთხრათ - უმთავრესი სიახლეების შესახებ, დავაინტერესოთ სიახლეებით, სერვისებით და მათი გამოყენებით და როგორ ვასრულებთ ზემოხსენებულ აქტივობებს.

არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ვაგრძელებთ ინტენსიურ მუშაობას ვაკეთებთ ყველაფერს, იმისათვის, რომ ამომრჩეველს ჰქონდეს მაღალი ნდობა მთლიანი საარჩევნო პროცესის მიმართ, ჩვენი როგორც საჯარო მოხელეების და საარჩევნო ადმინისტრატორების მიმართ.

**გმადლობთ გულახდილი საუბრისათვის.**

ესაუბრა **ნატო მელიქიძე**

# ბაკურიანის საკურორტო სეზონური სატკივარი

**ზაფხულის საკურორტო სეზონი ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა, მანამდე კი მისი პიკი გადავლახეთ ავად თუ კარგად.** ყოველწლიურად ზაფხულის ეს პერიოდი ბაკურიანის პირთამდე ავსების (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) დროა. ვის აღარ შეხვდებით ქუჩებში: დამსვენებლები დილიდან გვიან ღამემდე დაიარებიან, ვაჭრებს გასაყიდად გამოფენილი აქვთ ყველაფერი, რაც შეიძლება რომ გაიყიდოს: ხილ-ბოსტნეული, ტანსაცმელი, ყველანაირი ხილის მურაბები, წნილეულობა და სოკო, სუვენირები, ხის ნაკეთობები, მცენარეები, რძის ნაწარმი, ბიჟუტერია, სათამაშოები, ყელის ჩასაკოკლოზინებელი ტკბილეული და ვინ მოთვლის კიდევ რამდენ რამეს. უცხოელი ტურისტები ცნობისმოყვარე სახეებით დადიან, სტუმრები არაბული ქვეყნებიდან ჩაშავებულ ჩადრებს დააფრიალებენ, ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობს, სპორტსკოლებისა და ბანაკების ბავშვები გრძელ მწკრივებად მისდევენ უკან თავიანთ მწვრთნელ-დამრიგებლებს, მცირეწლოვან ბავშვებიანი ოჯახები პარკში მოფენილან, ეზოები ხმაურობენ მასპინძლების სტუმრები



და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ტიპის ადამიანი სტუმრობს ახლა ბაკურიანს. გასაგებია, რომ ეს ბუნებრივია საკურორტო სეზონის დროს, მაგრამ აქ სხვა პრობლემა იჩენს თავს. ქუჩაში გამოსულ ადამიანს, განსაკუთრებით დღის მეორე ნახევარში, ეჭვი ეპარება, რომ ხალხი უფრო ბევრია თუ მანქანა. დიახ, სამწუხაროდ, მანქანებს ბევრად მეტი ადგილი უჭირავთ, ვიდრე ადამიანებს. ადრეც ვწერდით ამ პრობლემის კატასტროფულობის შესახებ, რადგან ყოველწლიურად ეს პრობლემა იზრდება და ყოველგვარ ზღვარს აჭარბებს. მაგრამ რატომღაც, როდესაც ბაკურიანში არსებულ პრობლემებზე საუბრობენ, მანქანების სიჭარბეს კურორტზე უგულებელყოფენ, ჩქმალავენ, ყურს იყრუებენ. **ყველა ზრუნავს იმისთვის, რომ ბაკურიანი ტურისტებისთვის მიმზიდველი იყოს, მაგრამ რამდენად მიმზიდველია მანქანებით ასე გადაჭედილი ბაკურიანი და რამდენად სწორია ასე უსაშველოდ კურორტის გამონაბოლქვით დაბინძურება?**

მანქანების ქროლვა არ წყდება 24 საათის განმავლობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღის მეორე ნახევარში ქუჩაში გადაადგილება თითქმის შეუძლებელია.მთელი დღე უწყვეტი ნაკადით მოედინება (ორმხრივად) მსუბუქი მანქანების მწკრივი, როგორც მდინარე, ბაკურიანის ყველა საპარკინგე სივრცე დაკავებულია, მანქანებია ყველგან, მათი გუგუნ-გრიალი ისმის ყველგან, ხმამაღალი მუსიკის ხმა სალონებიდან რომელ საათზე წყდება, **არ ვიცი. და ისიც არ მესმის, ასე აქტიურად, მასიურად და ისტერიულად ვის სად მიეჩქარება?** მთავარი ქუჩის გარდა, სეზონის პიკზე ავტომანქანებით ივსება პერიფერიული, წყნარი ქუჩებიც, არასეზონზე იქაურობის სიმშვიდეში სეირნობას რომ არაფერი ჯობს, ახლა ოთხი თვალი უნდა გამოიბა, რომ უეცრად მოსახვევებში გიჟივით შემოვარდნილი მანქანის მსხვერპლი არ გახდე. საბოლოო დასკვნა ასეთია, რომ სახლიდან ამ დროს საერთოდ არ უნდა გამოხვიდე, მაგრამ ეს რამდენად შესაძლებელია, თავად განსაჯეთ. სიჩუმის და სიმშვიდის ფასს ტყეში გასეირნებისას გრძნობ ასმაგად, და უფრო მეტად ბრაზდები, რომ კურორტი და დასასვენებელი ადგილი ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა. ეს მავნებლობაა და მეტი არაფერი.

მთის კურორტების მთავარი ღირსება ზაფხულში სიგრილე და სუფთა ჰაერია. ცხელ ზაფხულში, როდესაც მთელი საქართველოს ქალაქები უჰაერობით და სიცხით იხრჩობა, ბაკურიანში ამოსვლა დაბადების ტოლფასია. **ასეთი საგანძური მომადლა ღმერთმა ბაკურიანს და ჩვენ ჩვენივე ხელით ვსპობთ?** ახლა დამსვენებელის დიდ ნაწილს მხოლოდ ჰაერზე ყოფნა აღარ აკმაყოფილებს, ისიც არ ყოფნის, რომ მათი შვილები ამ კრისტალურ ჰაერს სუნთქავენ ქალაქური უჰაერობის შემდეგ და ახლა დაჟინებით უფრო და უფრო მეტ გასართობებს მოითხოვენ, რომელთაგანაც მთავარი მანქანებით უთავბოლოდ წინ და უკან რბოლა წარმოადგენს. დამსვენებელი ცუდად აღზრდილ პატარა ბავშვს დაემსგავსა, უამრავი სათამაშოთი გარშემორტყმული მაინც უზნეოდ რომ ღნავის და რაღაც სხვას მოითხოვს, თავისთვისაც გაურკვეველს. იმის მაგივრად რომ დაისვენონ და სუფთა ჰაერი ჩაყლაპონ, დადიან ქუჩებში და შვებულებებს ბაკურიანის ნაკლოვანებების ძიებაში ატარებენ.

რამდენიმე დღის წინ თბილისელ ამხანაგთან ერთად ბაკურიანის ცენტრის ხმაურს გამორიდებულებმა ტყის სიმშვიდეს შევაფარეთ თავი. ვისხედით დროებით გაუქმებული კუკუშკის რელსებზე და ტყის ჯადოსნურ, მართლაც განმკურნავ ხმას (სიჩუმეს!) ვაყურადებდით. გაოგნებულები ვეკითხებოდით ერთმანეთს, განა ჩვენს ბავშვობაში არ ჩამოდიოდა ბევრი ხალხი? წრიული გზის გასწვრივ გაშენებული უშველებელი სასტუმროები გადავსებული იყო დამსვენებლებით, მაგრამ კურორტზე მაინც სიმშვიდე იყო. სხვა დრო იყო? დიახ, სხვა დრო იყო და ნუთუ არ შეიძლება ნებისმიერი „სხვა დროდან" კარგი „წამოვიღოთ" და შევინარჩუნოთ. **მესმის, რომ სხვა დროა, მაგრამ ნუთუ არ შეგვიძლია გავუფრთხილდეთ ჩვენს საგანძურს, განა ეს არაა პატრიოტიზმი? ჩვენს ტყეებს, ჩვენს წეს-ჩვეულებებს, ჩვენს წარსულს, ჩვენს სახლ-კარს ნუ გადავაქცევთ ბეტონისა და რკინა-შუშის საუფლოდ, ნუ ვაჯიჯგნინებთ ჩვენი წინაპრების მოვლილ-ნაპატრონებ ბაკურიანს ნურავის. მოვუაროთ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის და სხვაც ვასარგებლოთ ამით. მაგრამ გაფრთხილება და მოვლა პატრონობა არ დავივიწყოთ და სტუმარსაც ვასწავლოთ ეს, თუ ამის საჭიროება მოითხოვს, და რომ მოითხოვს მკაფიოდ ვხედავთ და ვაი, რომ დამსვენებელს არ უნდა დაავიწყდეს მთავარი და აუცილებელი აქსიომა, ის სტუმრადაა ჩამოსული, სტუმარს კი მეტი თავაზიანობა, შინაგანი კულტურა, თავშეკავება მართებს....**

**რუსუდან სხირტლაძე**

## წიგნის თარო

# მონოგრაფიას ყველა უნდა გაეცნოს




**ისტორიის** მოყვარულებმა მიმდინარე წელს ყვიბისელი მეცნიერ-ისტორიკოსის პროფესორ ვახტანგ გოილაძის მიერ გამოცემული შესანიშნავი ნაშრომი მიიღეს, რომლის სათაურია **„ქართველები და კაბადოკიელები ბიზანტიის საეკლესიო და სამხედრო ასპარეზზე"**.

ნაშრომი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით.

როგორც მონოგრაფიის ანოტაციაშია აღნიშნული, ბიზანტიის იმპერიის საეკლესიო და სამხედრო ასპარეზზე დაწინაურებული ქართველი და კაბადოკიელი მოღვაწეები, რომლებიც ერთად არიან წარმოდგენილნი, შემთხვევითი სრულებითაც არაა. ჯერ კიდევ ასურეთის მეფის ტილგათფილესერ I-ის (ძვ. წელთაღრიცხვის 1114-1076) ანალებში მოხსენიებული „მუშქთა ქვეყანა" აქემენიანთა სპარსეთის მეფის - დარიოს I-ის (ძვ. წელთაღრიცხვით 522-486) ბრძანებით ამოკვეთილ წარწერაში „კაბადოკიად" (ლამაზი ცხენების ქვეყანად) იწოდებოდა. იმ დროიდან კაბადოკიელებად იწოდება თურქეთის აღმოსავლეთით მდ. ევფრატის სათავეებამდე მდებარე ვრცელ ტერიტორიაზე განსახლებული მუშქ/მესხები და შავი ზღვის სამხრეთით მდებარე დღემდე მცხოვრები ლაზ-ჭანები, რომლებიც კაბადოკიელებთან ერთად ისტორიულ საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართველურ სამყაროს ქმნიდნენ.

ნაშრომში დაწვრილებითაა აღწერილი ანტიკური და ბიზანტიური ხანის ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით არაერთმა უცხოელმა და ქართველმა მეცნერებმა მიუთითეს კაბადოკიელთა ქართველურ წარმომავლობაზე. როგორც პროფესორი **გ. გოზალიშვილი აცხადებს**, კაბადოკია - პონტო, ლაზიკა - იბერია, ერთიანი ქართველური სამყარო იყო, რომელიც ერთიანი კულტურით ცხოვრობდა.

სასიახარულოა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონმა **ვახტანგ გოილაძემ** თავის მონოგრაფიაში სხვა მრავალ საკითხებთან ერთად ყურადღება გაამახვილა საეკლესიო და სამხედრო ასპარეზზე დაწინაურებულ მოღვაწეებზე, ასეთი გამოკვლევა კი ქართულ სინამდვილეში პირველად შეიქმნა.

მეტად ნიშანდობლივია ნაშრომის ცალკეული თავები. ასე მაგალითად, „ჩრდილო შუამდინარეთის ქართველური სამყარო", „წარმოშობით კაბადოკიელი მოღვაწეები ეგრისსა და ქართლში", „ქართველები ბიზანტიის სამხედრო ასპარეზზე IV-VIII საუკუნეებში", „მართა ბაგრატიონი ბიზანტიის დედოფალი", „გრიგოლ ბაკურიანის-ძე იმპერიის სამსახურში", „გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონის მონასტრის დაარსება", „უცნობი ქართველი განდეგილი იერუსალიმში" და სხვა მრავალი.

ამ დიდებული მონოგრაფიის რედაქტორია საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი - **როინ მეტრეველი**, რეცენზენტები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ჭეიშვილი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თინათინ დოლიძე.**

აღნიშნული ნაშრომი შესანიშნავი შენაძენია ქართველთა მკითხველისათვის.

მადლობა ნაშრომის ავტორს ოფიციალური ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წიგნის გამოცემისათვის.

**ვალერიან ლომიძე**

## ვიცოდეთ წარსული

# დედაბოძი

**ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ განყოფილებას ამკობს უნიკალური ექსპონატი, ქართული დარბაზული სახლის დედაბოძი.**



იგი მუზეუმში შემოტანილი იქნა 1981 წლის ოქტომბერში სოფელ მაჭარწყლიდან არქეოლოგ ოთარ ღამბაშიძის მიერ. იგი სრულიად შემთხვევით იქნა ნაპოვნი ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის ტერიტორიაზე, დედაბოძი გამოყენებული იყო ეზოსა და ბაღჩის გამყოფ მთავარ ბოძად. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ იგი გამოთლილია იფნის ხისაგან, შემკულია ბორჯღლის გამოსახულებებით და მოჩუქურთმებულია. სიმაღლეში იგი ორ მეტრს აღწევს, ცალ მხარეს დედაბოძს ატყვია სანთლის ნაღვენთები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ უშუალოდ დედაბოძთან ხდებოდა სხვადასხვა წარმართული რიტუალების ჩატარება.

დედაბოძი, ესაა მთლიანად ერთი ხისგან გამოთლილი, დიდი, ფართოთავიანი სვეტი. ქართული დარბაზული სახლის ცენტრალური ბოძი, რომელსაც ეყრდნობოდა სახლის გვირგვინიანი გადახურვა. დედაბოძზე იყო განივი კოჭი გადებული, ბოძსა და თავ-ხეს შორის სიმძიმის გადასანაწილებლად უკეთებდნენ ე.წ. „ბულაურას" ანუ „დათვას".

ეს იყო ხის გრძელი ბალიში, რომელიც დედა ბოძთან ერთად მთლიან ელემენტს ქმნიდა.

დედაბოძს ამკობდნენ სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტებით: ფრინველთა და ცხოველთა საკრალური გამოსახულებებით, სხვადასხვა ტიპის ჯვრებით, ბორჯღლებით (რაც სიმბოლურად მზეს განასახიერებდა და ამასთან ერთად მარადისობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული), ვარსკვლავებით, მთვარის გამოსახულებებით და სხვადასხვა ორნამენტებით.

**ძველი ხალხის წარმოდგენით, დარბაზული სახლის კერია დედაბოძთან ერთად წმინდათაწმინდა ადგილს ქმნიდა. ტერმინი „წმინდათაწმინდა" მომდინარეობს ძველი აღთქმიდან, სადაც ამ ტერმინით აღინიშნებოდა პირველი ტაძრის (იგივე კარვის) უწმინდესი ადგილი, რომელიც გამოყოფილი იყო ტიხრით კარვისაგან და აქ დაცული იყო ძველი აღთქმის უდიდესი სიწმინდე, აღთქმის კიდობანი, სადაც ჩალაგებული იყო ქვის ფიქალებზე დაწერილი ათი მცნება.**

ყველა წარმართული რიტუალი სახლში დედაბოძისა და კერიის გარშემო სრულდებოდა, იქნებოდა ეს ნათლობა, ქორწინება თუ სხვა... ტერმინი „დედაბოძი" იგივე „მთავარი ბოძის" აღმნიშვნელია. დედაბოძის კულტის წარმოშობაზე ხალხური თქმულებებისა და მითოსის საფუძველზე დედაბოძის თაყვანისცემა უკავშირდებოდა მატრიარქატული წეს-წყობილების დაწინაურებას, როდესაც გვაროვნული ჯგუფი იქმნებოდა დედაკაცის ხაზით, რაც აისახა კიდეც ძველ ქართულ-ხალხურ ფოლკლორში: **„მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი და წვრილწვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი".**

აგრეთვე, დედაბოძის კულტის გავრცელება დაკავშირებული იყო ხის კულტთან და სიცოცხლის ხის მოტივთან, ვინაიდან მითოსის თანახმად, ღვთაება გველშემოხვეული ხის მეშვეობით გამოეცხადებოდა თავის საყმოს. კავკასიურ თქმულებებში სიცოცხლის ხე წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ზეცის საყრდენი სვეტი. ანალოგიურია ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ტიტანი ატლასი, რომელსაც ზეცა თავისი მხრებით ეკავა.

**სწორედ ასეთ სრულყოფილ სიმბოლოდ მიიჩნევა დედაბოძი. ხალხური წარმოდგენით, დედაბოძი ისე ებჯინებოდა სახლის გვირგვინიან გადახურვას, როგორც სიცოცხლის ხე ებჯინება ცას.**

**აკაკი სარალიძე,**
**ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი.**

# ღვთისმშობლის მიძინება



**დღეს კოსმოსი გაირინდა, ღვთისმშობელმა მიიძინა,**
**და სამყაროს დედოფალი დედამიწამ გააცილა,**
**თვით უფალი ჩამობრძანდა ანგელოზთა დასთან ერთად,**
**მისი სული მიირქვა და ღვთის წიაღში ააცილა.**
**მოინატრა ღვთისმშობელმა ქრისტეს ყველა მოციქული,**
**და სიონის წმინდა მთაზე, ხალხიც ბევრი შეკრებილა,**
**ყურს უგდებენ ხმას სანუკვარს, მის ტკბილ ნუგეშს, დარიგებებს,**
**„გიხაროდენ, თქვენთანა ვარ, მე ყოველთა დღეთა შინა".**
**აგვისტოს თვეს, მარიობას უამრავი ხალხის თვალწინ,**
**მისი სახლი, ზეცისძალმა გაანათა, გააბრწყინა,**
**იოანე ღვთისმეტყველი წინ უძღოდა რტოთი ხელში,**
**უფალი და ანგელოზი მიუძღოდნენ ცათა შინა.**
**აგვისტოს თვეს, მარიობას, უამრავი ხალხის თვალწინ,**
**მისი სახლი, ზეცის ქალმა გაანათა, გააბრწყინა,**
**იოანე ღვთისმეტყველი წინ უძღოდა რტოთი ხელში,**
**უფალი და ანგელოზი მიუძღოდნენ ცათა შინა.**
**ვის გადაროთ, ღვთისმშობელო, კოკობ ვარდს თუ თეთრ შროშანსა,**
**ყოვლისმცოდნემ, აგერჩია, მიწის მკვიდრთაგან ერთადერთო,**
**შემოგცქეროს იმედით და სასოებით ეს ქვეყანა,**
**შემომქმედის, ღმერთის დედავ, დედუფალო, თვით ქალღმერთო,**
**იცოდა, რომ დაუტევნელს დაიტევდი, თავმდაბალო,**
**ბრძენო დედავ, უცოდვილო, უხილავი დაგვანახე,**
**შენი ძე და ღმერთი ჩვენი, შესახებად გაგვიხადე,**
**დაგვიცვას და დაგვიფაროს, ხატად მოგვეც მისი სახე.**
**გონებაც კი ვერ იაზრებს, ენით უთქმელ ამ სასწაულს,**
**გაჩენილხარ სამყაროსთვის ღმერთის დედად, ისევ მისგან,**
**უსაყვარლეს რომ ძეს შენსა, სრულად კაცს და სრულად**
**ეს სამყარო დაეფარა მარადიული ტანჯვისგან ღმერთსა,**
**სანუკვარი, სანატრელი, აღასრულე უფლის ნება,**
**და შვიდისრისგან დაჭრილი დარდიანი შენი გული,**
**მაინც რომ არ გაბოროტდა... დაითმინა შვილის ვნება,**
**ლოცულობდა ცოდვილთათვის, შერჩა მათი სიყვარული.**
**ღვთისმშობელმა მიიძინა მარადიულ სიცოცხლეში,**
**დღეს ადიდებს მას მსოფლიო, ზღვა და მიწა, მთა და მდელო,**
**გვიმეოხე ღვთისმშობელო, ნათლის დედავ, სანატრელო,**
**დაიფარე სამყარო და დაიფარე საქართველო.**

**ოლიკო ლომიძე.**

## ახალგაზრდებმა დალაშქრეს „ლომის მთა“



**ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის, ახალგაზრდული ბანაკის ფარგლებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ორ დღიანი ლაშქრობა მოეწყო.**

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა დალაშქრეს ,,ლომის მთა“.

ახალგაზრდებთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი;** მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობასთან ურთიერთობისა და ტურიზმის განყოფილების სპეციალისტი **ლანა გიორგიძე** და ბანაკის ორგანიზატორი **გოდერძი ჭოლაძე.**

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ბანაკი 1 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნა და ახალგაზრდებმა სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.

## ადამიანები ბორჯომიდან – ისტორია №11



**ვიოლეტა ბალახაშვილი, ისტორიკოსი.**

ქალაქის და ქვეყნის საგანძურის მცველი 31 წლის განმავლობაში იყო. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ექსპონატებს განსაკუთრებული სიყვარულით უფრთხილდებოდა, მათზე ზრუნავდა და ამ საქმეს მომავალ თაობასაც აყვარებდა.

მსოფლიო ცივილიზაციის აკვანში დარწეულ-ნასაზრდოები ქართული მიწა, ულევი ისტორიით, უსაძირკვლო შენობა-მუზეუმი, ასევე




უზომოდ საინტერესო ისტორიით. ერის საუნჯე, ერის საგანძური, ერის სიმდიდრე, რომელიც ჩვენს ისტორიას უხსოვარი დროიდან ხელისგულზე გადმოგვიშლის, - ასე გვიზიარებს **ვიოლეტა ბალახაშვილი** თავის ემოციებს, რომლებიც მუზეუმთან აკავშირებს. 27 წლის განმავლობაში მუზეუმის დირექტორი იყო. დღეს ჩვენი მეგზური ამ უძველეს კედლებში, სწორედ ის არის. თვითონაც წარსულში ბრუნდება და ცდილობს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი ფაქტობრივი სიზუსტით გაიხსენოს და შემდეგ ჩვენ გაგვიზიაროს.

- სასიხარულოა, რომ წლების წინ გაკეთებულმა ექსპოზიციებმა - თანაც ოთხმა, დროს გაუძლო. ასეულობით ჩატარებული ექსპედიცია, სამეცნიერო-თეორიული კონფერენციები, ფოლკლორული საღამოები, საინტერესო შეხვედრები, არქეოლოგიური ანგარიშები, ბევრი წარმატება და აღიარება - ასეთი იყო მუზეუმში გატარებული წლები. ეს არის ადგილი, რომელიც ინახავს მხოლოდ ჩვენი ხეობისათვის დამახასიათებელ ბრინჯაოს დისკოებს და ქამრის ბალთებს. ამ ისტორიის განუყოფელი ნაწილია მინერალური წყალი „ბორჯომი,“ რომელიც ჩვენი სიამაყეა. არქეოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის გზაგასაყარზე იცოდნენ ამ წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ. ვამაყობ, რომ ისტორიული მინერალური წყლის, უძველესი ბოთლები ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, - ეს წარსულში მოგზაურობის მცირე ფრაგმენტია, რომელიც ქალბატონმა ვიოლეტამ გაგვიზიარა.

მუზეუმთან განშორება მისთვის მარტივი არ იყო, თუმცა, ქალაქზე ზრუნვას დღესაც აგრძელებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია, ქალაქის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული და დღესაც მზად არის, რომ სტუმრებს მთელი მსოფლიოდან გააცნოს ულამაზესი ბორჯომი უდიდესი წარსულით.

**ბორჯომის გულშემატკივარი**
**ნათელა გრიგალაშვილი**



**დათო თექთუმანიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის**

**ავთანდილ (ავთო) ცაგურიშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ბენდელიანებისა და ცაგურიშვილების ოჯახებს, ნათესავებს.**

**გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნინო ბენდელიანს მეუღლის**

**ავთანდილ (ავთო) ცაგურიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**ბაკურიანის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო ბენდელიანს მეუღლის**

**ავთანდილ ცაგურიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

## ქართველთა ტრიუმფი პარიზში და ოლიომპიადის ] შუქ-ჩრდილები




პარიზის 33-ე ზაფხულის ოლიმპიადა საზეიმოდ დაიხურა, დელეგაციები სამშობლოში დაბრუნდნენ, სპორტის გულშემატკივრები კიდევ დიდხანს განიხილავენ ფრანგული ფორუმის შედეგებს. გასახსენებელი, მოსაწონი, საამაყო სპორტის ქართველ ქომაგებს ნამდვილად ბევრი გვაქვს.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თამაშების ისტორიაში ყველაზე მცირერიცხოვანმა - 28 წევრიანმა საქართველოს ნაკრებმა ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში საუკეთესოდ იასპარეზა და 206 ქვეყანას შორის 24-ე ადგილი დაისაკუთრა.

პარიზის ოლიმპიადაზე საქართველოზე მეტი სპორტსმენი













67 ქვეყანას ჰყავდა. ქართველებმა სულ შვიდი მედალი მოიპოვეს, აქედან 3 ოქრო, 3 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო, რაც საერთო ჯამში 28 სპორტსმენის მიერ მოპოვებული ფანტასტიკური შედეგია და 25 პროცენტს შეადგენს. ოქროს მედლების რაოდენობით მეოცე ადგილი დავიკავეთ.

საქართველომ გაუსწრო ისეთ ქვეყნებს, რომლებსაც ჩვენზე მეტი სპორტსმენები ყავდათ: პოლონეთს (128), ბელგიას (218), ეგვიპტეს (148), არგენტინას (136), შვეიცარიას (127), დანიას (124), სერბეთს (112), ჩეხეთს (111), ინდოეთს (110), მექსიკას (107), თურქეთს (107), საბერძნეთს (100), ისრაელს (88), კოლუმბიას (87), ყაზახეთს (79), ავსტრიას (78), ხორვატიას (73), პორტუგალიას (73), აზერბაიჯანს (48), ბულგარეთს (46).

3,7 მილიონიანმა საქართველომ 7 მედალი მოიპოვა, ჩვენზე 10-ჯერ, 300-ჯერ, 100-ჯერ და 500-ჯერ მრავალრიცხოვანმა ქვეყნებმა ტოლი ვერ დაგვიდეს, 90 მილიონიანმა თურქეთმა და მილიარდნახევრიანმა ინდოეთმა ვერცერთი მედალი ვერ მოიპოვეს, თვით ამერიკის შეერთებული შტატების 348 მილიონიანმა ქვეყანამ ყველაზე მეტი 122 მედალი მოიპოვა, თუ პროცენტულად ვიანგარიშებთ, მათზე წინაც ვართ.

სახელოვანი ძალოსანი **ლაშა ტალახაძე** მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, **ლაშა ბექაური** მეორედ გახდა ჩემპიონი.

თავისუფალ ჭიდაობაში **გენო პეტრიაშვილი** ახალი ოლიმპიური ჩემპიონია.

24 წლის ძიულოისტებმა **ტატო გრიგალაშვილმა** და **გივი მაჭარაშვილმა** ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

მოკრივე **ლაშა გურულმა** ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

მსაჯებმა ოქროს მედალი მოპარეს **ილია სულამანიძეს**.

მსაჯებმა ნამდვილად დაჩაგრეს მოფარიკავე **სანდრო ბაზაძე**.

სახელოვანმა ძიუდოისტმა გურამ თუშიშვილმა ფრანგ რინერს არ აპატია ღირსების შელახვა და საკადრისი პასუხიც გასცა, ოქროს - ღირსება ამჯობინა.

პარიზის ოლიმპიადას შავ ლაქად დააჩნდება ღვთის გმობის რიტუალი, რომელიც გაურკვეველი სქესის აღვირახსნილმა არსებებმა გამოხატეს ოლიმპიადის საზეიმო გახსნისას, როცა ლგბტეს წარმომადგენლებმა ერთგვარი თავისმოსაჭრელი საზეიმო სერობა წარმოადგინეს. პარიზის 33 ოლიმპიური თამაშები დაემთხვა 33 ქრისტეს ასაკს, რითაც გააშარჟეს ქრისტე და ქრისტიანობა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანული რელიგიისადმი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება.

სამწუხაროდ, პარიზის ოლიმპიადაზე თვალნათლივ გამოიკვეთა სპორტსმენებისადმი უპატივცემულობა და ხშირად მასხრადაც იგდებდნენ.

**ვალერიან ლომიძე**

## გმირი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს...



სამყაროს ისტორია გმირებზე დგას. ერთი შეხედვით, სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნიერების არსებობის სხვადასხვა ეტაპზე არაჩვეულებრივი ისტორიები დაწერეს. ისინი ჩვენს ქალაქშიც მრავლად არიან, დღეს ერთ-ერთ მათგანს გაგაცნობთ: **ჯაბა მაისურაძე**, 45 წლის, ამჟამად ბორჯომის მკვიდრი, ისე კი ცხინვალიდან არის.

დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი, 2012 წელს შექმნა ოჯახი, ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. მას ნამუშევარი აქვს სხვადასხვა ადგილებზე (მშენებლობა, ტექნიკის მაღაზია , ,,ომეგა“). უკვე კი წლებია სასტუმრო ,,ბორჯომი-პალასის“ დაცვის თანამშრომელია

მოგეხსენებათ, სასტუმროს შიდა, ღია აუზი ამშვენებს და ზაფხულში დამსვენებელი სასიამოვნოდ ნებივრობს მის სიკამკამეში... მაგრამ არის შემთხვევები, როცა ბავშვი უმალ სიღრმეში აღმოჩნდარა (თუმცა აუზი კომფორტულია, ნაწილი ბავშვებისთვისაა და იქ სიღრმე არ არის) , იღრჩობოდა და ჯაბაც იმ წამსვე გადაშვებულა წყალში გადასარჩენად.

2 ბავშვი წინა წელს იხსნა და 2 წელს გადაარჩინა. ერთხელ ჯიბეში მობილურიანად გადაეშვა და მერე სასტუმროს ხელმძღვანელობამ ახალი ტელეფონით დაასაჩუქრა. გახარებული მშობლები სიხარულს უსაზღვრო მადლობებით გამოხატავდნენ მის მიმართ.

გმირი ნებისმიერი ადამიანი შეიძლება იყოს და გმირობაც სხვადასხვა გზით გამოიხატება, იქნება ეს ფიზიკური თავგანწირვა სხვისი გადარჩენისთვის თუ უბრალოდ, ისეთის გაკეთება, რასაც დიდი გამბედაობა სჭირდება. გმირები არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც შიშის მიუხედავად სჩადიან ღირსეულ საქმეს... თუმცა შიში მაგ დროს ტოვებს ადამიანს და წინ მხოლოდ სხვისი გადარჩენის წყურვილი იწევს. ასეთ უშიშარ ადამიანებზე დგას ეს ქვეყანა!

ამიტომაც არ არის გასაკვირი, გმირები არასდროს რომ არ კვდებიან და მარადიულად ცხოვრობენ ჩვენს გულებში, სწორედ მათი ღირსეული ცხოვრებისა და საქციელებისდა გამო...

**ნანა კევლიშვილი**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,
რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
მორიგე: ნატო მელიქიძე კორექტორი: ნანა კევლიშვილი